საია მსოფლიო პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს

2010 წლის 3 მაისს, გაეროს წევრ ყველა ქვეყანაში მსოფლიო პრესის თავისუფლების დღე აღინიშნება. ამ დღის დაფუძნების მიზანია სახელმწიფოებისთვის იმის შეხსენება, რომ მათი მოვალეობაა, პატივი სცენ და დაიცვან ჟურნალისტთა უფლებები.

წელს იუნესკო (უნესკო გაეროს ერთადერთი დანაყოფია, რომლის მოვალეობაშიც გამოხატვის თავისუფლების პოპულარიზაცია შედის) და სხვა საერთაშორისო

ორგანიზაციები ამ დღეს ინფორმაციის თავისუფლების თემით აღნიშნავენ, რადგანაც, ინფორმაციის თავისუფლება ~~გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია და დემოკრატიულ მმართველობაში თავისი წვლილი შეაქვს~~.

საია მიიჩნევს, რომ ინფორმაციის თავისუფლება ქართული მედიის ხელში სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტრუმენტია სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაზრდელად. საქართველოში უკვე 10 წელია არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მედიას ინფორმაციის თავისუფლების გარანტიებს უქმნის (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მიღებული 1999 წლის 25 ივნისს. ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს). თუმცა, აღნიშნული კანონმდებლობის იმპლემენტაცია ბოლო წლებში განსაკუთრებული რისკის ქვეშ მოექცა.

2009 წლის ნოემბერში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან პარტნიორობით საიაში ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი დაფუძნდა. ცენტრის მიზანია საქართველოს 8 რეგიონში ჟურნალისტებისათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. ამჟამად, მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვასთან, მათ პროფესიულ საქმიანობაში ჩარევასა და ზეწოლასთან დაკაშირებულ ათობით საქმეს აწარმოებს. საია ხაზს უსვამს, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლდა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჟურნალისტების სრული იგნორირების შემთხვევები.

მაგალითად, ქალაქ თბილისის მერია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ თითქმის არცერთ განცხადებას განიხილავს და აბსოლუტურად უკანონო უარს ამბობს ადმინისტრაციული საჩივრების განხილვაზე, არადა სწორედ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის გამოყენებაც ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ჟურნალისტებისთვისაც სასამართლოში მიმართვამდე სავალდებულოა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მხარს უბამენ და უფრო მეტად აღრმავებენ ინფორმაციის თავისუფლებისათვის დაწესებული ბარიერების სამარცხვინო პრაქტიკას, სასამართლო კი, ხშირად, თავად ამბობს უარს მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემაზე. შესაბამისად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არარსებობა თავის მძიმე კვალს ტოვებს ჟურნალისტთა ინფორმაციის თავისუფლების უფლების განხორციელებაზეც. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან

ბოლო წლებში განხორციელებულმა რამდენიმე ინიციატივამ, მაგალითად, გაზრდილმა სახელმწიფო ბაჟმა (თითოეული ჟურნალისტი თითოეულ სარჩელზე ინფორმაციის გაცემაზე უარის სასამართლოში გასასაჩივრებლად სახელმწიფო ბაჟის სახით100 ლარს იხდის. და სასამართლოში ფოტო-კინო-ვიდეო გადაღების აკრძალვამ დააკნინა მედიის, როგორც მაკონტროლებლის როლი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2009 წლის აპრილში ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, სადაც აღიარა, რომ ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. სასამართლოს თანახმად: ‘ბარიერები, რომლებიც იქმნება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაფერხებლად, სურვილს დაუკარგავს მედიას ან მონათესავე სფეროებში მომუშავეებს, გამოიკვლიონ ასეთი საკითხები. შედეგად, მათ შესაძლოა ვეღარ შეძლონ თავიანთი სასიცოცხლო მნიშვნელობის როლის – `საზოგადოებრივი მაკონტროლებლის’ - შესრულება, რაც უარყოფითად იმოქმედებს მათ უნარზე, მიაწოდონ საზოგადოებას ზუსტი და სანდო ინფორმაცია’(საქმე ‘ ტარშაშაგ ა სზაბადშაგიოგოკერტი უნგრეთის წინააღმდეგ’ 2009 წლის 14 აპრილი).

2009 წლის ივნისში საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი ევროპის საბჭოს კონვენციას ‘ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ’. აღნიშნული დამატებითი საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ხელისუფლებას მოვთხოვოთ, პატივი სცეს ინფორმაციის თავისუფლების პრინციპებს, ამასთან, ყველა ზომას მიმართოს ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად.